ეროვნული ბიბლიოთეკა

25 მაისი 1908 ფასი 10 კაპ.

ნიშადური



№ 45 ყოველკვირეული ჟურნალი № 45

«ნიშადური» დღეიდან წლის დამლევამდე ღირს 3 მ. 50 კ. ხოლო წლიურ ხელის მომწერთ (5 მ) გაეგზავნება ყველა ძველი №№-ბი, ი. ჭავჭავაძის დიდი სურათი და «ნიშადურის კრებულები».

იყიდება წარსული წლის სრული კომპლეკტი ფდით—2 მან.

მისამართი: Тифлисъ, Валеріану Гуніа, ред. „Нишадури“.

უცხოეთის მწერლები



ჟულ მურიე

(მისი ახლად გამოსული წიგნის გამო „ხელოვნება კავკასიაში“

ქართველი მეცნიერები



პროფესორი ჰ. მელიქიშვილი.

(მისი პროფესორობისა 30 წლ. თავის გამო)

მტერნი ხართ თუ მოყვარენი?!

„ჰხედავთ, ვითარის კადნიერებით,
შეკრბების ჩვენზედ „უსჯულოება“.
ნ. ბ.

III

ეხლა კახეთში შეტანილი „კულტურაცა“ ვნახოთ 1811—1812 წლებში.

ბ-ნი ანი ქართველი სოციალისტია და ამიტომ რასაკვირველია იგი არ იკადრებს რამე ცუდი სთქვას რუსის ჩინოვნიკზედა და ბიუროკრატზედ. იმათ საქართველოს საბძანებელში კულტურა შემოიტანესო! მაგრამ ერთი არა-სოციალისტ, ქართველ პატრიოტსაც ვკითხოთ ცოტა რამ ამ ბიუროკრატებზედ, მით უმეტეს რომ მან ძლიერ კარგად იცის, შესწავლილი აქვს,—თუ ვინ არიან ეს ჩვენი განმანათლებელნი,—სულ „სოციალისტების“ აზრთა დამოწმება ხომ არ შეიძლება: audiatur et altera pars. „ფეოდალურ ქვეყანაში რუსის მთავრობამ გაბატონა ბიუროკრატიული სისტემა მმართველობისა. ეს კი ისეთი წესია, რომელიც უკარგავს ფასსა და იერს გვაროვნობას და შთამომავლობას. ხშირად პატარა, უთვისტომო მოხელე, დიაკვნისა ან ნასალდათარის შვილი, ნელ-ნელა მიცოცავს საიერარქიო კიბეზედ და ბოლოს, დაჯილდოვებული ჩინ-ორდენებით, იბერება და იფხვირება ინდოურსავით. ამისთანა ბიუროკრატს ცა ქუდად არ მიაჩნია და დედა-მიწა ქალამნად“. *) და რომ მართლაც ჩვენი ხალხი მაინც და მაინც დიდად არაფრად აფასებ და ჩინოსან მოხელეთ და მათზედ „ფეოდალს“ უფრო მაღლად აყენებდა, ეს იქიდანა სჩანს, რომ თიანელებმა არაფრით არ მიიღეს მოურავად მაყაშვილი, კოლლეეგსკი სოვეტნიკი და რუსის მთავრობის მომხრე, თუმცა იგი მაყაშვილიც კი იყო. ჩვენ ჩოლოყაანთ გვარი გვიურვებდაო, ამბობდენ ისინი, მოურავად ჩოლოყაშვილი გვწადიანო,—და მართლაც თავისი გაიტანეს,—ჩოლოყაშვილი დაიყენეს მოურავად 1812 წელს. თუ მაყაშვილი იყარეს, რაღა უნდა ეთქვათ უბრალო წვრილ რუსის მოხელეზედ!

და მართლაც რომ აუტანელი და სასოწარმკვეთი იყო მათი კულტუროსნობა ჩვენში, ამას ამტკიცებს მათი მოქმედება 1812 წელს კახეთში, როცა სურსათსა ჭარეფდა რუსის მთავრობა ეკზეკუციებითა „სასურსათო უწყების მოხელეთა მოქმედებამ ყველაფერი დააავიწყებინა კახელობასო,—სწერს ბ. ა. ფრონელი, ვიღას ახსოვდა კოყლოჩინა კოლლეეგსკი რეგისტრატორი (ბ. ანისათვის—წესიერების დამცველი საქართველოშ!), ან ფუყი სტატსკი სოვეტნიკი, ინდაურსავით გაბერილ გაფხვერილი? ეს პატივცემული მოღვაწენი სავსებით დაჩრდილა საინტენდანტოს მოხელემ. იგინიო,—ამბობს კაპიტანი ანოსოვი. სწორედ ღვთის რისხვად გარდაიქცნენ ერისათვის. აქ, საქართველოში, გამოიჩინეს იგივე ბრწყინვალე ღირსება,—ქველობა და მამულიშვილობა, რისთვისაც იმპერატორმა ალექსანდრე პირველმა ნაპოლეონთან ლაშქრობას გათავების შემდეგ აჰხადა პატივი და აუკრძალა ეტარებინათ ოფიცრის ეპოლეტები. მათს უნამუსობას, ყაჩაღობა—ლირფობას არავითარი საზღვარი არა ჰქონდა, საკუთარ ჯიბის გასასქელებლად და უზომო მადის დასაკმაყოფილებლად არაფერსა ზოგავდენ ეს მართლა და რომ თავლაფ-დასხმული მოხელენი. ატყუებდენ ხალხს წონა-ზომაში, იღებდენ ქრთამს, აორკეცებდენ გაწერილ ხარჯსა, არიგებდენ მოხერხებულ კვიტანციებს, არა თაკილობდენ „ანოსოვ-ბის“ ჩადენას, ოღონდ კი ამოეყორათ უბინაო და მსუბუქ-ეცელი“. **)—ასე ახასიათებენ ამ კულტუროსნებს ა. ფრონელი—ქართველი პატრიოტი, და კაპიტანი ანოსოვი,—იგივე რუსის მოხელე! ქართველი სოციალისტი კი რასაკვირველია ქართველი სოციალისტი არ იქნება, თუ რუსის სიმყრალეც იასამნის სუნით არ იყნოსა და სხვაც არ აყნოსა! ეხლა ყური უგდეთ, რაები ჩაიდინეს მათ და აგრეთვე ჯარებმა ეკზეკუციების დროს, ნახეთ როგორ ებრძოდენ ისინი ფეოდალიზმს, როგორი სიმპატიით ეპყრობოდა მათ ხალხი,—ფეოდალიზმის მტერი.

შეწერილი პური კიდეც რომ მოეტანათ გლეხებს, ჩინოვნიკები არ იღებდენ უქრთამოდ.

1811 წ. საშინელი სიმშილობა იყო კახეთში და პური შემოდგომა-ზამთარში უნდა ეზიდნათ.

მთავრობა რომ მანათში იწონავდა პურს, იგი პური ბაზარში 4—5 მანათად ფასობდა.

მოხელეებმა მოატყუეს მთავრობა—პური უკვე ნაყიდიაო, ხოლო მცხოვრებნი მეტ ფასსა გვთხოვენ და მაღ ზიებში არ მოზიდესო, მიუხედავათ იმისა რომ ფული უკვე მივეცითო.

მოხელეები ყოველივე ამას სულ თავადებს აბრალებდენ,—ისინი აქეზებენ ხალხსაო, როგორც ამასვე ამბობს ეხლა ბ-ნი ანი,—სულ თავად-აზნაურობა ახდენდა საქართველოში აჯანყებასაო,—ხალხი მთავრობას უპერდა მხარსაო.

ამ ნიადაგზედ გაჩნდა ეკზეკუციები სოფლებში და რაც იმათ ხალხს დღე დააყენეს,—ამაზედ თვით ხალხმა სთქვა,—რაც რუსებმა დღე დაგვაყენეს, თავის დღეში არ გვახსოვს ამისი მსგავსი არც ყიზილბაშთაგან და არც ლეკთაგანაო.

ბ. ანის საუბედუროდ, რომელსაც სურს მაინც და მაინც ბიუროკრატია ევროპიულად და კულტუროსნად გამოიყვანოს, ეკზეკუცია თურმე თათრული ჩვეულება ყოფილა, როგორც ამბობს ბ. ა. ფრონელი. ევროპას მეცხრამეტე საუკუნეში იგი არა სცოდნია. თურმე რუსეთის მაღალ კულტურაში თათრების კიდევ უმაღლესს კულტურას შეუტანია იგი. რუსებს კიდევ ჩვენ გაუბედნიერებივართ მითი და დღესაც გვაბედნიერებს. თითქოს თათრის „კულტურას“ წინადაც არ ეახუნებიოს ჩვენთვის რომ მერმე სხვას, რუსებს არ შემოეტანოს იგივე თათრული კულტურა!

აზიელი და „მუჟიკი“ (სომხების ისტორიით), მდაბალი კულტურის კაცი (ანის ისტორიით) დავით ბატონიშვილი ეი რასა სწერს: ყველა ამ ამბავთა შესახებ და უმაღლეს კულტურულ დაწესებულების,—ეკზეკუციის მოქმედების შესახებ:

«წელსა ამასვე 1811 გამოსცვალეს ტორმასოვი და წარგზავნეს მარკიზი პაულუჩი, იტალიელი, ღენერალ-ლეიტენანტი, აგვისტოში; კაცი ელამი რაგვარათაც თვალითა, ეგრეთვე სულითა და მოქმედებითაცა (ძლიერ კულტუროსანი ყოფილა თვით მთავარ-მართებელი!); მაშინ იყო შემჭირვებით დიდი ქართველთა ზედან მარკიზისაგან, ესრეთ: ართმევდიან ხშირად ურემთა და ხართა სახმარად მხედრობისა, რომელ კნინღა დაჰშთათ ხარი სოფელთა შინა. ეგრეთვე სადაც განვლიდიან რუსნი, ამჭირვებდიან სოფლებთა ცემითა

*) იხილე ა. ფრონელი, ამბოხება კახეთისა 1812 წ. p. 15—19.

**) Ibid. p. 16.

ტაცებითა და რთმევითა, თვინიერ თეთრისა, და იყო ესრეთ სიყმილი, რომელ კოდი პური იყო ექვს მინანთულად, თეთრს ფულად. მაშინ მარკიზმან უბრძანა წარსულისა ორისა წლისა პურისა მოკრეფაი სურსათისა კახთაგან, ვინაიდან სიმცროსა გამო მოსავლისა ვერ ძალ-ედვ თ მიცემაი, და ბრძანა ყოველსავე სოფელსა ეგზეკუციისა ჩაყენებაი (ესე იგი იასაულთა),—ორასისა და სამასისა თითო სოფელთა, და სადაც მივიდოდიან, იყო ვაებაი მათ ზედან მით, რამეთუ სცემდიან დედაკაცთა, და ხელთა ჰკიდებდიან და ართმევდიან პურთა ძალითა, თუმცაღა კახნი ევედრებოდიან, რომელ მიიღონ ნაცვლად პურისა ექვსი მინანთული კოდში და რომელთაც არა ჰქონდათ თეთრი, მაშინ ძედა ასულთა თვისთა იძლევდიან, გარნა უქმ იყვის ვედრებაი მათი, და იყო, ვალალებაი ერთა შორის. გარნა სხვათაცა ბოროტ-მოქმედებათა შორის ესეცა ჰქმნეს, რომელ თიანეთს მთვრალთა ოფიცერთა შეიპყრეს დედაკაცი და სამოსა შინა შთაასხეს ძაბრითა ღვინო», *) და სხვ. „ზოგიერთა პოლკებიო, ამბობს აგრეთვე თავადი ალექსანდრე ჭავჭავაძე, თ. ციციშვილის სიკვდილის შემდეგ, ისეთ სასტიკ თვითნებობასა და თავხედობას იჩენდნენ, რომ სრულიად გაანადგურეს და გააოხრეს სოფლები, სადაც ბინასა სდებდენ; განა მარტო ის სოფლები, ახლო-მახლო სოფლებიც თავს ვერ იცავდნენო გაონავრებულ პოლკებისაგან. საკუთრება აღარა შერჩათ რა გაოხრებულ და გატიალებულ სოფლებს. მკვიდრთა ღვინოს, ბოსტან-ბაღებსა, ფრინველსა და საქონელს, ცხენსა და ურემს ისე ხმარობდენ, როგორც მოისურვებდენ. ყაზარმების გასათბობად ვენახების ღობეებს არღვევდნენ და სწვავდნენ აშკარად, დაუსჯელად იქცეოდნენ, დამშლელი და დამტუქსავი არავინ იყო; რომ ეჩივლათ, უარესი დღე დაადგებოდათ: სცემდენ, დასჯიდენ და ემუქრებოდენ: თუ ეგ ცოტაა, მაშ აბა იცოდეთ, შემდეგ უარესს დღეს დაგაყენებთო“. **) მაშ ასე, რაღა,—ღვინის საშოში ძაბრით ჩასხმა, დედა-კაცების მათრახით ცემა, ნიფხვის ჩახდა და საჯაროთ გაროზგვა, ქურების მიწითა და ნეხვით ამოვსება, რასაც განსაკუთრებით კადრულობდა ჯარი კახეთში, მისი მთელი ხალხის გაძარცვა ისე, რომ საცხოვრებელი სალდათების ხელში გადვიდაო, კაცის კვლა, ვენახებისა და ბაღების გავერანება,—ეს დიდი კულტურა ყოფილა! აი რითი გვსტუმრებია ჩვენი სანატრელი სტუმარი და დახეთ,—აკი გუნდრუკს უკმევს ბ.ნი ანი მათ «ქველობასა და მამულიშვილობას“ ას წლოვან ასეთი მოქმედების შემდეგ, ჩვენში წესიერების დამკვიდრებისთვის!“ დრონი განვლენ—„ასის წლის შემდეგ“ ბ-ნი ანის შთამომავალი ალბად იმ გმირებს შეამკობს, რომელთაც ჩვენში ყოველივე ზემოხსენებული ჩაიდინეს აი ამას წინად, და გარდა ამისა კიდევ ერთი დიდი კულტუროსანი და წაბაძვის ღირსი საქმე,—ვაგონი გასტეხეს დასავლეთ საქართველოში და მიი თვეს აბრეშუმის პარკი „კანფეტის“ მაგივრად და გასინჯეს ფილოგრაფიის მინა... შოკოლადის მაგივრად! არ ვიცი რამდენად მართალია ეს ცნობა, რომელიც გვსმენია დამსწრე მოწმისაგან, და რამდენად იამა ეს მაღალ კულტუროსან რუსს, მაგრამ კახეთში რომ ისინი ეხლაც კარგად შეექცევიან ხოლმე წენგოსა და ჯერჯერიან ყურძენს, მთელ მტევანს პირში იდებენ ერთ ბაშვის, [illegible] მსმენია დამსწრე კახელთაგან!... და ის [illegible] აჯანყდა კახეთში 1812 წ. ესოდენ შეწუხებული, შევიწროებული, გალახული, გაცარცული, სასოწარკვეთილი, შეურაცხყოფილი ყოვლის მხრით, როგორც კი შეიძლება რომ ადამიანი შეურაცხყოფილ იყოს,—ხალხი არ იყო, გლეხობა არ იყო? მაშ უბრწყინვალეს თავადებს უვარდებოდენ სახლში და ართმევდენ პურს, უპატიურებდენ ცოლშვილს, უპილწავდენ ქვევრებს?—სად არის ან სინიდისი, ან ჭკუა, ან წინდახედულობა, რომ ისა სთქვას ადამ ანმა,—საქართველოში თავადაზნაურობა ახდენდა აჯანყებას რუსების წინაალმდეგ თავიანთ პრივილეგ ათა დასაცავად, გლეხობა კი მთავრობისკენ იყოო? დალოცვილებო, თუ დაწვრილებითი და ვრცელი ისტორია არ არის საქართველოსი, „კახეთის ამბოხება“ და “მთიულეთი“ მაინცა გვაქვს, რომ წავიკითხოთ და გავიგოთ, რაშია საქმე. ვის ატყუებთ, ან რათ გინდათ ტყუილები, როდესაც დღეს ეს შეუძლებელია,—გამხილებენ და კატაპავით ცხვირს ჩაგაკვრევინებენ თქვენს ნამოქმედარში! ბ. არჩილ ჯორჯაძემ კარგად გაგჯორათ ამ ლათაიებისათვის, შემდეგ კიდევ იმედია, ვინც დაწვრილებით იცის ჩვენი ძველ ამბოხებათა ამბები, აგრეთვე მთელი ჩვენი ძველი მდგომარეობა, იმათ კიდევ უფრო ცუდი დღე დაგაყენონ და საუკუნოდ დაგავიწყებინონ თქვენი უკეთური წადილი!

ან და შეადარეთ მაშინდელი მოღალატე თავადნი და მებრძოლნი თავადნი. მოღალატენი ბევრნი იყვნენ, და ისინი უმთავრესად ჯვრებისთვისა და მენდლებისთვის იბრძოდენ;—ფეოდალიზმთან ბრძოლის მათ არა ესმოდათ რა და არც სურდათ. მებრძოლნი კი დიდებულნი მამულიშვილნი იყვნენ და არც ისინი დაგიდევდენ ფეოდალიზმის განმტკიცებას მეფობის დაბრუნებით. მარტო ერთი ალექსანდრე ბატონიშვილი, მისი სულის კვეთება, რომელიც სავსებით არ აიხსნება „ტახტის ძებნით“, უდიდესი ფიგურაა ამ ბრძოლაში, რომელიც არც ისე მცირე ყოფილა, როგორც ეს ბ-ნ ანსა ჰგონია. და ქუდი მოიხადეთ და ისე ემთხვიეთ ამ მებრძოლთა საფლავებს, ისინი მკვდრებიც გვჯობიან ყველა ეხლანდელ ხალხის მოყვარეთა, მათი სულები ათასჯერ მაღლა სდგანან თქვენ „ხამობითა“ და „ლაქიაობით“ სავსე სულებზედ!... მაგრამ რა უნდა ელაპარაკო ისეთ ხალხს, რომელთაგანაც ერთმა ამ ორი წლის წინად ერეკლე მეფეს მატრაკვეცა უწოდა, მეორემ კი აგერ ახლა წამოაყრანტალა, ილიას მოკვლის შესახებ როცა სწერდა,—лѣсъ рубятъ, щенки летятъ-ო! საცოდავნი და მართლაც მასხარანი!—მათგან რა უნდა გამოვიდეს თუ არ მასხრული ისტორია!...

და განა მარტო მთიულეთში და კახეთში მოხდა ეს ამბავი? მთელმა საქართველომ იუკადრისა სკვითთა უღელი. ყველამ იგრძნო თავი მოტყუებულად. თუ იგინი საჩივრებში ხან და ხან ისე ლაპარაკობდენ, თითქოს რუსის მთავრობის წინაალმდეგ მათ არა ჰქონდათ რა, ეს უბრალო პოლიტიკა იყო, ან შიში დამარცხებულთა, თორემ რუსების გარეკა ხალხის წადილი იყო მთელ საქართველოში. ან კი როგორ იგრძნობდენ და იფიქრებდენ სხვანაირად, როდესაც თურმე შესანიშნავი რუსული ანდაზა—до Бога высоко, до царя далеко,—ჩვენში შეთხზულა, როცა კახეთს აწადგურებდენ და განკითხვა აღარ იყო აღარავისაგან, ხალხს პირდაპირ ჯვარს აცვავდნენ! კახეთში ჯერ კიდევ 1802 „წელს“ შეჰკივლეს—მოგვატყუესო და

---

*) Ibid. P. 23. ეს ამბავი თიანეთს კი არა, ახმეტას უნდა მომხდარიყოს, რადგანაც ახმეტიდან დაიწყო აჯანყება.

**) Ibid. P. 25.

მ. სწვდნენ იარაღს. მთიულეთში 1804 წელს იშიშვლეს ხმალი. თუ 1802 წელს ფეოდალობა აცხადებდა პროტესტსა, ამბობს ბ. ა. ფრონელი—1804 წ. ს უკვე მთელი ერი აღსდგა რუსის მთავრობის წინააღმდეგ. ასეთივე ეროვნული ხასიათი ჰქონდა კახეთის ამბოხებას 1812 წელს. მაგრამ ეს რა,—მთელი საუკუნის განმავლობაში თითქმის არ დაწყნარებულა საქართველო. ერთ კუთხეში რომ ჩააქრობდენ მოძრაობას, იგი მეორეში იჩენდა ხოლმე თავსა უფროსის სიძლიერით. განსაკუთრებით ბატონიშვილების ბრძოლას არა ჰქონდა დასასრული ენერგიისა, თავგამოდებისა და ვაჟკაცობისა. ლ. ბატონიშვილისაგან აჯანყება ოსეთისა, ალ. ბატონიშვილისაგან, აჯანყება ხევსურეთისა მისი მოქმედება კახეთის ამბოხების დროს,—ყოველივე ეს მთელი ეპოპეაა ქართველი ერის თავისუფლების ბრძოლისა, ახალ დამთრგუნველთა წინააღმდეგ.

იმერეთის აჯანყება, რომელმაც იფეთქა 1819 წელს,—ეს გმირული ბრძოლა, რომელიც მართლაც ეროვნული იყო, მრავალი წერილი აჯანყებანი გურიასა და სამეგრელოში, აჯანყებანი სვანეთსა და აფხაზეთსა,—ყოველივე ეს ნათლად გვიხატავს მთელი საქართველოს ერის სულის კვეთებას, მათ სურვილს—უნდოდათ თუ არა რუსების აქ დარჩენა. გურიაში და სამეგრელოში «რუსების გადენა“ ეხლაც არც ისეთი გაუგებარი ფრაზაა, როგორც ეს შეიძლება ბ-ნ ანს ეგონოს. ქიზიყის აჯანყების დროს სამოცდა ათიან წლებში პირდაპირ ლაპარაკობდენ—რუსები აქ ხომ დროებით არიან მოსულნი, ვეღარ მოუგონიათ წასვლაო?!—

და ყველა ამ აჯანყებაში მონაწილეობას იღებდა არა თავად-აზნაურობა, რა ორც კლასსი, დამცველი ფეოდალურ პრივილეგიათა, არამედ ხალხი, რომლისთვისაც აუტანელი გახდა რუსის რეჟიმი. თუ როგორ იმოქმედეს, ყიზილბაშებზედაც და ოსმალებზედაც უარესად ამ რეჟიმის წარმომადგენელმა მოხელეებმა და ჯარმა,—ამაზედ უკვე გვქონდა ლაპარაკი. მათი მოქმედება რასაკვირველია ყოველთვის ხალხს უფრო მძიმე ტვირთად აწვა, ვიდრე თავად-აზნაურობას, და ცხადია, ხალხი უფრო გაბრაზდებოდა მათ წინააღმდეგ, ვიდრე სხვა ვინმე, და აკი ასეც იყო! მაგრამ ბ-ნ ანს ჩვენი გათახსირების და გაბიაბრუების მუცელი სტკივა და იმიტომ აბრახუნებს,—ხალხი აქ არაფერ შუაშია, სულ თავად-აზნაურობა ახდენდა ამ უწესოებას ბიუროკრატიის წინააღმდეგაო! მაგრამ იმის დასამტკიცებლად, თუ როგორ მოქმედებდა ეს თავად-აზნაურობა ამ „ამბოხებათა“ დროს, საკვარისია გაეცნოთ იქ მომქმედ უმთავრესს თავად-აზნაურებს და მათ დამქაშებს: გაბრიელ ყაზბეგსა და შანშე ერისთავს მთიულეთის აჯანყების დროს, დიმიტრი ორბელიანსა და მუხრან-ბატონიშვილს, როდესაც 1812 წლის კახეთის ამბოხება ქართლში და მთიულეთში შეიჭრა, მოღალატე ბარძიმ ჩერქეზიშვილსა და მრავალ სხვათა.—ჯ მაშინ ნახავთ, თუ როგორ იცავდენ ეს ვაჟბატონები და ათასი სხვანი „ფეოდალობასა“, რასა შვერებოდენ ისინი ჯვარ-მენდლებისათვის! მუხრან-ბატონი მძინარე თანამემამულეთა დახრჩობასაც არ დაერიდა ბიუროკრატიული წესიერებისათვის. და ორბელიანმა კახეთი გადასწვა „რუსის ჯარითა და აგრეთვე მრავალი მებრძოლი დაახრჩო*).

*) დავით ბატონიშვილი მას „უსჯულო სინიდისის“ ადამიანს უწოდებს. ბ-ნი ანი კი ალბად არა-ფეოდალსა და წესიერების დამცველს უწოდებს, რასაკვირველია! რომელი სჯობია, მკითხველო?

გაიხარებენ მათი სულები. რადგანაც მათ ისეთი პატიოსანი დამცველი აღმოუჩნდა ეხლა, როგორიც არის ბ-ნი ანი! საერთოდ ამ თავად-აზნაურთა დასახასიათებლად. საგულისხმაროა თ. ალექსანდრე ორბელიანის მემუარები, რომელიც დაცულია ეხლა „ქ. შ. წერა კითხვის გამავრ. საზოგადოებაში“. ორბელიანს პირდაპირ სმენია თავის მამისაგან და ნათესავთაგან, რომ მაშინდელ თავად-აზნაურობაში ისეთი გახრწნილობა სუფევდა, რომ ლაპარაკსაც კი ვერა ჰბედავდენ ერთმანეთთან, ერთად რომ იყვნენ შეკრებილნი,—ურთიერთ ჯაშუშობისა ეშინოდათო! *) ეს იყო მათი ფეოდალობის დაცვა და რუსის „მთავრობასთან ბრძოლა»! ან კი რას გააწყობდენ ისინი მარტო რუსებთან, კიდევაც რომ ებრძოლათ, თუ მთელს ერს არ გამოეღო ხელი. და რომ ეს ბრძოლა მართლაც ძლიერი და ეროვნული იყო, ამას ის ამტკიცებს, რომ თუ არ ღალატსა და სწორეთ თავად-აზნაურთა გახრწნილებას, ვინ იცის, იქნებ რუსის მთავრობას საუკუნოდ ამოეკვეთნა ფეხი აქედან იმ ბრწყინვალე დამარცხებათა შემდეგ, რაც კახელებმა ავემებინეს რუსებს 1812 წელს. მაგრამ განა ცნობილი არა რის, რომ ჩვენები უფროსობდენ რუსის ჯარს, ჩვენივე თავადები, ჩვენებივე სწვავდენ კახეთსა და „აშთობდენ მთიულთა“, ჩვენებივე იყვნენ ჯაშუშებად?—მართალია, იყო ერთი „ხალხური“ დღესასწაულიც თბილისში კახეთის დამარცხებისა და გადაწვის შემდეგ! მაგრამ სჯობია, რომ ამაზედ გავჩუმდეთ, რომ მთელი შადრევანი არ ამოვანთხიოთ ზიზღისა და აღშფოთებისა. ვიცით რაც ხალხური სიხარული იყო იგი სიხარული, როდესაც ვანქის ტაძარში ცნობილ „უმაღლესს ღრამოტას“ მიასვენებდენ თვალცრემლიანნი და გრძნობით დამდნარნი არა-მკითხენი! რისთვისა და რა ღვაწლისათვის მიიღეს მათ ეს ღრამოტა,—ეს მათმა სინიდისმა იცოდეს,—ხოლო ჩვენ აქ ამაზედ ლაპარაკი, მსჯელობა და აღშფოთება არა გვსურს, ისედაც გასულელებულსა, შარიანსა და გალაქიავებულ ხალხში ამაებზედ ლაპარაკი მეტია,—მხოლოდ ცუდ სახელს და იმსახურებს ადამიანი!..

ალაროდიელი.

ნ ა შ თ ი

ქართული ციხე
შიგნიდან სტუდია.

აკაკი.

—

მაღალ მთაზე სდგას დადუმებული
ძველი ციხისა ნანგრევი დიდი.
ჰე მგზავრო, შესდეგ! შენ თვითონ მიდი
და მერე მითხარ, რას გიგრძნობს გული.
ნახე ქვიტკირი, ნახე კედელი...
აქ ბრძოლა ჰდუღდა განუწყვეტელი
და ტალღა დიდი, ტალღა მღელვარე
წამომსქდარი და წამონალეკი—

*) თ. ა. ორბელიანი: ღალატი მამისა ჩემისაგან მეფისა ირაკლისა, კარანდაშით ნაწერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

არაბი, სპარსი, თათარი, ლეკი —
ხშირად ეხვია ამ ციხეს გარე,
მაგრამ ის იდგა, როგორც კუნძული,
დიადი სულით გამაგრებული.

—

დღეს კი ნაშთია, მხოლოდ ნანგრევი
და ქვები... ქვები წარსულ ხანების,
ნიშანი რაღაც გამოურკვევი
რამ იდუმალი გამოცანების,
შეხვალ ნანგრევში — და მხიარული
ჰნაღვლიანდება უეცრად გული;
იქ შეირხევა რაღაცა ვნება
და თავზე თმები აგებურძგნება.
უსიტყვოდ იგრძნობ, რომ დამარხული
აქ არის ძვალი ძველ გმირებისა;
სირცხვილი ქვეყნის დამცირებისა
აქა ჰქშენს ისე, ვით მათი სული;
და გეხატება წარსული ხანი
თავისუფლებით ამპარტავანი.

—

რა იქმნა ის დრო, შვილების გული
როცა ქვეყანას ერტყა გარშემო?
რა იქმნა ის დრო, ის დიდებული...
ან შენ რა იქენ, სამშობლო ჩემო?!
ნუ თუ ის მიწა, ნარნარი ის ცა,
რომელმაც გმირი ამდენი მისცა
წარსულ ხანებში არ მარტო ჩვენებს,
კვალად გმირებს ვერ აღმოაცენებს?!
ვაი, პასუხი აღარსად არის,
ამაოდ აპყრობ ცისაკენ თვალებს,
სივრცეში მხოლოდ ორბი ტრიალებს
და ჰკრთის ლაჟვარდი მუნჯი კამარის.
მაგრამ იქნება გმირების სული
დღეს ორბად არის გადაქცეული?

—

ჰტრიალებს იგი, ვით „ზედა წყალთა“
შექმნისა ჟამსა ღვთაების სული;
ჩამოშლილია მთებისა კალთა,
ფერად ფერადად აყვავებული;
აქ ვერ ისვენებს გული იმ ორბის:
ეს მთა სადაც რომ ჩანჩქერი მორბის,
ეს ტყე და ველი, ეს ნაშთი ძველი,
საპყრობილეა იმისთვის ბნელი.
ფრთასა ღონიერს გაშლა სწყურია,
სწყურია სივრცე განუზომელი,
და ის ჰტრიალებს — მიუწდომელი —
მისი ტრიალი მედიდურია.
არა ჰგავს იგი, სულ არ გვაგონებს
ქვეშ მოცოდვილე დღევანდელ მონებს.

—

მოჰბერა სულმა ახალ დროების,
მან დაანგრია სიმაგრე ძველი,
ნიშნად მსოფლიო ამაოების
შთანთქა დიდების მოთხრობა გრძელი.
იქნებ მის კვალიც გადაიშალოს,
წმინდა მხნეობის ქიტკირს და პალოს,
ვით შავბედისა ნისკარტი-რკინა,
მუშამ წაკარტი წამოუშინა.
ინგრევა ციხე, სდგას ქვისა ყორე,
მტკვარი მოსთქვამს და, სტირის რიონი, —
და არს დ მოსჩანს დევკალიონი,
ნიჟი, ღვთაების მოთანასწორე,
რომ ამ ქვებს კვალად შთაუდგას სული,
ერთ დროა გმირულად ზედ დალეული.

გიორგი გვაზავა.

მტყუანებს ტყუილის კარამდე...

(პასუხად ბ.ბ. ინ—ჩი—ძეს და პლებეის).

„ნიშადურის“ 41 №-ში მე სანიმუშოდ ავღნიშნე უველასაგან ცნობილი ჩვენი ესდეკების ზოგი „საგმირო საქმეები“. მე აქ კერძო პიროვნების შეურაცხყოფა მიზნად არა მქონია, ჩემი სურვილი იყო მხოლოდ ს. დ. ორგანოს თანამშრომლებისათვის, ეს ერთი ხანის ატეხილი ქაოსმორეულ და აღვირ წახსნილ თავისმართლების დროს, მომეგონებინა ზოგი მათი ამხანაგების მიერ ჩადენილი დიახ უკუღმართი საქმეები. ვინ წარმოიდგენდა, რომ აქაც ჩვეულებრივი უტიფრობით გამოილაშქრებდნენ ასეთ დღესავით ნათელ ფაქტების წინააღმდეგ. მაგრამ განა ჩვენებური ესდეკებისგან სხვა რაა საკვირველი, რომ ეს გაგვიკვირდეს! ამ ბატონებს თვით დანაშაულობის ჩადენის დროს რომ თავზედ წაადგეთ, მაშინაც წარბშეუხრელათ უარს გეტყვიან. მათ რომ უცაბედათ წამოადგეთ თოვლი შავიაო, შემდეგ მთელი თავისი სიცოცხლე საარაკო დაჟინებით უნდა ამტკიცონ თოვლის სიშავე. ამ ახირებულ ხალხს თავი უცოდველ პაპათ გამოაქვთ და ერთ წუთსაც არ უნდათ წარმოიდგინონ, რომ, ყველა მამაკვდავი ადამიანივით, იმათაც შეიძლება შეცდომა მოუვიდეთ და უკუღმართობაც ჩაიდინონ. კაცი შეცდომებში უნდა ჰპოვებდეს გამოცდილებას და იმისდა მიხედვით აუმჯობესებდეს და სცვლიდეს თავის მოქმედების გეგმას. „არ შეცდება მხოლოდ ის, ვინც არაფერს აკეთებსო“, ამბობს ხალხის სიბრძნე. მაგრამ კულუბრუყილობა იქნება ჩვენის მხრით ქართველ ს.-დ. მოველოდეთ თავის დანაშაულებისა და შეცდომების ადამიანურად აღიარებას. ამდენი მამაცობა და სულის ძლიერება მათ არ შესწევთ. თუ არ გჯერათ გადაათვალიერეთ „ცხოვრ. სარკე“ №№ 12 და 14. ავიღოთ თუნდ ბ. პლებეის წერილი, კვალ და კვალ გავყვეთ და კბილები გავუშინჯოთ მის ვითომდა თავის მართლებას.

ვისთვისაა დღეს საიდუმლო, რომ მ. ს–ძე ს. დ. მოჰკლეს. ეს თვით თქვენი ამხანაგებისაგან არა ერთხელ მსმენია. ამავე დროს ბ. პლებეი უსირცხვოდ ირწმუნება ს.-დ. ამ საქმეში წმინდანი არიანო. ამას რომ სწერდით ვისი მოტყუილება გინდოდათ, ბ. პლებეი, თქვენივე თავის თუ საზოგადოების? მაგრამ ჩვენმა საზოგადოებამ ხომ კარგახაიია იცის საქმის ვითარება. ასეთი აშკარა ტყუილით მხოლოდ თქვენს თავს იმცირებთ, ხალხის თვალში ეცემით და სიკვდილის მოახლოებას აჩქარებთ. განა მთელმა ხონმა არ იცის, რომ მ–ის სამმა-ოთხმა ორგანიზაციის წევრმა გადაუწყვიტა სიკვდილი, მხოლოდ იმიტომ, რომ ამ შავბნელ რეაქციის დადგომის დროს, განადგურებიის თავიდან ასაცილებლად, ხალხს ურჩია მთავრობისათვის დროებით მორჩილება გამოეცხადებინა ეს არც რევ'ციონერების მოგონილია და არც სხვა ვინმესი, ეს ცოცხალი ფაქტია, რის დამტკიცებაც ყოველთვის შეიძლება.

„ჩვენ ყოველთვის იმას ვეუბნებოდით, რომ ყველა მიმართულების აზრს გასცნობოდენო, მაგრამ ხალხი არ იკარებდა მათ იმიტომ, რომ ხონის რაიონში ფედერალისტებად გამოდიოდნენ უმეტეს შემთხვევაში თავად-აზნაურები, მემამულეები და ვაჭრებიო“. აქ რამდენიც სიტყვაა- იმდენი სიცრუე და სიყალბეა. დაგვისახელეთ ერთი შემთხვევა მაინც სად და როდის ურჩევდით თქვენ ხალხს სხვა მოპირდაპირე პარტიის მოძღვრებასაც გასცნობოდნენ. ჩვენ კი ყოველგან და ყოველთვის წინააღმდეგი გვსმენია და გვინახავს. დაგვისახელეთ აგრეთვე ვინ იყო ხონის რაიონში ს.-ფ მემამულე ან ნამდვილი ვაჭარი! რაც შეეხება თავად-აზნაურობის წრიდან გამოსულ ინტელიგენციას (როგორ არ გრცხვენიათ ამაზე ლაპარაკი?!), განა იმათში თქვენზე უფრო ნაკლები რიცხვი მუშაობდა მოძრაობის წინედ, მოძრაობის დროს ან შემდეგ? ვინ იყვნენ თუ არა თავად-აზნაურები ბ. მ. ს. წ. გ. წ. კ. ს. ქ. კ. მ გ. ლ. და სხვანი? ნეტა რას იტყვით ეხლა? რა თქმა უნდა, ჩვეულებრივ ითვალთ-მაქცებთ და იუბედებთ.

გადავიდეთ თოფების საკითხზე. აქაც იგივე სიცრუეა. ნუ თუ თქვენ არ წაგიკითხავთ თქვენივე ამხანაგების, კალანდაძის და ჩხეიძის, რუსული ბროშიურა, სადაც ისინი პირდაპირ ამბობენ კომიტეტმა გადასწყვიტა ს.-ფ იარაღი წაგვერთმიაო მართლაც ჩვენის მაცადინობით კიდეც ჩავიგდეთ ხელში ამ თოფების ნაწილიო, სიხარულით დასძენენ ეს ვაჟბატონები. ამის შემდეგ კიდევ მოგეპოვებათ იმდენი ურცხვი გამბედაობა და გაიძახით: „ალიაქოთი და პროვალი სოც დემ. კი არა თვით ფ-მა მოახდინესო“!

როდესაც მე ვწერდი სოფელ გ. ქოფერების რაზმელებისათვის იარაღის აყრა განიზრახესთქო, მე აქ ვგულისხმობდი შუაგულ სამეგრელოს სოფელს. ხოლო, რაც შეეხება ბ. პლებეის მიერ მოყვანილ შემთხვევას [illegible] ხონში, ეს მე პირველად მესმის და ესეც [illegible] თქვენ წინააღმდეგ. კი მართალია თქვენ აქ ხალხის სახელით ლაპარაკობთ—„ხალმა მოითხოვაო“, მაგრამ ჩვენ კარგათ ვიცით როგორ ღირსებისაა ეს თქვენი სიტყვები. თქვენ საზოგადოთ ჩვეულებად გაქვთ საკუთარი აზრი და მოქმედება ყოველთვის ხალხს მოახვიოთ თავზე და იმისი სახელით გაასაღოთ ყოველივე თქვენი სივაგლახე და დემაგოგიური განზრახვა. ამას მოწმობს მთელი თქვენი სამარცხვინო ღვაწლი სოფლად და ქალაქად....

შემდეგ „პატივცემული ავტორი“ მოგვითხრობს ვითომ ფ. რაზმელები „კნიაჟნებთან“ დასეირობდნენ მაშინ, როდესაც მათი რაზმელები თითქოს „სისხლს ღვრიდენ“ ჩემი შენ გითხარ, გული მოგიკალიო, სწორედ ამაზედ არის ნათქვამი. რა გაარიგეთ მაშინ თქვენ ,,იქ‘ მოწყალე დებთან სეირნობის მეტი? თქვენ ხუსტურმა მოგიარათ, სრულიად უმიზეზოდ წაიყვანეთ რაზმელები და იმის მეტი არა გაგიკეთებიათ-რა, რომ ორიოდე თქვენი რაზმელი უცაბედათ დასჭერით და ყველანი ლამის სიმშილით დახოცეთ. ს. ფ. ასე უმიზეზოთ რაზმელების გაგზავნა სისულელეთ მიაჩნდათ. ,,კნიაჟნებთან‘‘ სეირნობაზე უფრო თქვენ ბანაკში არიან ჩვეულნი და თქვენ, ბ. პლებეი, თუ არ იცით, ამხანაგებს გამოკითხეთ.

,,ეს-ერმა ოკ. ქართული კარგად არ იცის, ხოლო რუსული მასსამ ვერ გაიგო და ამიტომ ერთხელ კრება დაშალაო‘‘. ეს ერთი ხანია ქ ქ. ტფილისისა და ქუთაისში ლექციებს ხშირად რუსულ ენაზედ კითხულობენ. ამ ქალაქებში, განსაკუთრებით ქუთაისში მასსის უმრავლესობას რუსული არ ესმის, მაშასადამე ეს ლექციებიც უნდა ჩაიშალოს. რად დაგჭირდათ კრების დაშლა? დაე ოკ—ს ელაპარაკნა რუსულად და ვისაც სურდა და გაიგებდა ის მოუსმენდა. ნუ თუ აქ ცხადი არ არის განზრახვა ხელი შეეშალათ მისთვის, რომ თავის მოძღვრება არ გაევრცელებინა და მომხრეები არ მოეპოვებინა? მაგრამ განა ამისთანა შემთხვევები ერთი და ორი იყო ჩვენს ბედშავ ქვეყანაში!

მაშინ თქვენ ასეთ პოლიტიკას აშკარად აწარმოებდით და არც სასირცხოდ მიგაჩნდათ. ახლა კი ამას ასერიგად სასიქადულოთ არა სთვლით და სულ სხვა ჭანგზე გალობთ.

მოიგონეთ ფედერალისტების ,,ორ თვითმპყრობელობა‘‘ და ამაზედ თქვენი პასუხი თქვენს მაშინდელს ქუთაისის გაზეთის ერთ-ერთ ნომერში. იქ თქვენ პირდაპირ და გარკვევით ამბობდით (რასაკვირველია ისევ ხალხის სახელით) თქვენი თვითმპყრობელობის აუცილებელ საჭიროებაზე.

,,ამის შემდეგ დანიშნული იქმნა სხვა დღე, სადაც მოვიდა მეორე ეს-ერი. გაიმართა ქართულ ენაზე დისკუსიები, ხალხიც ბლომათ დაესწრო და წესრიგიც ჩინე-

ბული სუფეგდაო“— განაგრძობს ბ. ჰლებეი. კაი იმისთანა წეს-რიგს, სადაც მოკამათეს ხელოვნურის ობსტრუქტებით ჩაჩუმებენ... ეს თქვენებურათ ჩინებული წეს-რიგია, ჩვენებურათ კი უსამართლობა და უწესობა.

ბოლოს ბ. ჰლებეი უარეოფს რაზმელების მიერ ხალხის შეგიწროებას. მე რეგოლიუციის უკანასკნელ ხანებში შემდგარ რაზმელებს არ ვწამებ ხალხის შეგიწროებას. მე ვლაპარაკობდი იმ ხანზე, როდესაც მოძრაობა ფერთებს ისხამდა და ახლად ფეხს იდგამდა. ამ დროს ხონში უავლათ ორი თუ სამი შეიარაღებული პირი, ამათ დახმარებას უწევდნენ რამოდენიმე ადგილობრივი შეიარაღებული მკვიდრნი და აი სწორედ ესენი კრეჭავდნენ და ამონებდნენ ხალხს... ეგ საიდუმლო როდია. უველამ იცის და ნუ დაიზარებთ მოიგონეთ ორს — თქვენის განკარგულებით — გალახულ მასწავლებელსაც, რომელნიც თქვენი მონა-მორჩილნი არ იყვნენ. გაკრეჭილ გაპარსულებში სხვათა შორის დღესაც ასახელებენ „ფეულებ წანადლეტ“ ჭ., წ., მ. და სხვებს... ამ. ვაუბატონების ჩვეულებად აქვთ როცა გამტუნდებიან „გამარჯვება“ იდღესასწაულონ და მოპირდაპირის დამარცხებაზე იეგირონ. ახლაც ასე მოსდიო: „ისე კი არ მოგივიდეთ, როგორც თქვენს ამხანაგს ხეობელს მოუვიდაო“. რა მოუვიდა ბ-ნ ხეობელს? იმას არასეური მოსვლია, ხოლო თქვენგი მართლაც ბევრი რამ მოგივიდათ და თავი მოგეჭრათ იმისმა მდადებელმა ფაქტებმა, რომელთაც ვერადრეს ვერ გაბათილებთ...

ეოველ შემთხვევაში ბ. ჰლებეი უველა ჩემ ფაქტებს სრულიად უარს ვერა ჭეოფს, მხოლოდ სცდილობს ის ხალხს გადაბრალოს და თავისებურად ახსნას უველა დაკვირვებული მკითხველი მიხვდება, რომ იმ ფაქტებს სწორედ და ნამდვილად ისე ქონია ადგილი, როგორც მე ადგნიშნე. ეს ფაქტები სულ მცირედი ნაწილია იმ აუარებელ საზიზღრობისა, რომელნიც ჩაიდინეს იმ დროს თქვენმა „ათხანიკებმა“ დასავლეთ საქართველოში-

სულ სხვაა ბ. ინ—ჩ—ძე. ეს ჩვეულებრივი ს. ლეტი რიხით ამტკიცებს, რომ ზურაბ ფალავა მათის გადაწყვეტილებით არ მოუკლავთ და შემდეგ გვითითებს თუ ვინ და როდის მოჰკლეს იგი. ჩვენ არ დაგვისახელებია ზურაბის პირდაპირი მკვლელები, თუმცალა თქვენზედ ნაკლებ არც ჩვენ ვიცოდით. ისიც ვიცით, რომ ეს მკვლელობა დღისით მოხდა შუაგულ ბაზარში. საქმე იმაში როდია, თუ სად, როდის და ვინ ესროდა გულის გასაგმირად ტეეია, საქმე ის არის—ვისი გადაწყვეტილებაა მოიეკვნეს სისრულეში ამ მკვლელებმა. ასე თუ იტეეით განსვენებული მ—კოტ თავის ხელით არ გაუგმირავთ ნამდვილ ს. დ. ამათ მხოლოდ გადაწყვიტეს და მიუჩინეს მკვლელები, რომელთაც დაგვირგვინეს ეს საძაგელი საქმე. შემდეგ თქვენ დეენა დაწყეთ ამ თქვენ რაზმელებს და თქვენვე გამოასალმეთ ისინი წუთისოფელს. ეს ხომ თქვენი ჩვეულებრივი ტაქტიკაა. იკითხავთ, რისთვის? იმისთვის, ჩემო „ინჩიძე“, რომ თქვენი „საიდუმლოებანი“ არ გამოეაშკარეგებინათ. თქვენ ადგათ „ბალეიეეეეთ“ და ან არ გცოდნიათ, რომ ამ საქმის „კარმესაძებლათ“ მანდ იეკვნენ განსვენებული იცა რიეინაშვილი და კიდევ ერთი ამხანაგი და ამათ ნათელეეეეს ს. დ. მონანაწილება.

ბ. „ინჩიძე“ გამომდგარა და ჩემს სინიდისზე დაპარაკობს. სინიდისზე და ზნეობაზე დაპარაკი შეუძლია იმას, ვისაც ოდესმე მოეპოვებოდა ამ თვისებათა ცოტა რამ ნასახი. თქვენ კი, როგორც სინიდისზე, ისე ზნეობაზე, როგორც ეტეობათ, მუდამ მწარლად ეოფილხართ, ორეემ ასეთი, მეტი რომ არა ვსთქვათ, მართლაც უსინდისობით არ დაუწეებიეთ ზურაბის მკვლელებს მართლებას! (ვიმეორებთ რომ მკვლელებს ვეძახი მხოლოდ იმათ, ვინც სიკვდილი გადაუწეეტა). თქვენ სიმართლის გამოქვეყნებას უზნეობას და უსინდისობას ეძახით. კარგი წარმოდგენა გქონია, ღმერთმა გიშველოთ, სინდისზე და ზნეობაზე! გაიგეთ თქვე უბადრუკნო, რომ ჩვენც სწორედ ამ უკეეემართობას გისაეეედურებთ.

დასასრულ ბ. „ინჩიძ“ სამედიტორო სამართალში მითხოვს. არ ვიცი ვისთან მაქვს საქმე! თუ თქვენ ერთი იმათგანი ხართ, რომელსაც მკვლელობის გადაწყვეტას ვაბრალებ, მაშინ ამის უფლება კიდე გაქვთ. მაგრამ პირადათ მე არ დამისახელებია მკვლელნი. მე საზოგადოთ თქვენს ლიდერებს და თქვენივე ორგანოს თანამშრომლებს ვუსაეეედურებდი, რომ სირცხვილია ასე თავგაბოდებით უარეოფა „ნიშადურში“ აღნიშნულ უველა ფაქტებისა, როდესაც სხვა ამაზე უფრო შემაძრწუნებელი ამბები ხდებოდა თქვენის წეალობით განმეთავისუფლებელ მოძრაობის დროს. აქედან აშკარა კეძოთ არც ერთი პირი არ შემირცხეოფია და მაშასადამე ვერც სამართალში გამიწვევს ვინმე თუ არ მკვლელი. და თუ თქვენ, ვითარცა პარტიის წევრს, საჭიროდ მიგაჩნიათ ჩემი განსამართლება, ნურას უკცრავად რომ არ დავთანხმდე. უველა პარტიის კაცმა სამართალში გაეოდა რომ მომთხოვოს, მე მთელი ჩემი სიცოცხლე, ათასი წელიც რომ ვიცოცხლო, ამას ვერ გადავრჩები. უფრო სამართლიანი და სწორი იქმნება თქვენმა ორგანომ, ან რომელიმე კომიტეტმა გამიწვიოს სამართალში და უველა ჩემ მიერ მოეკვანილ ფაქტებს მაშინ დავამტკიცებ. თუმცა-და ამ ხნობით უხერხული და თითქმის შეუძლებელიცაა სამართლის მოხდენა, რადგან ზოგი ამ საქმეებში მონაწილე თქვენი ამხანაგები პასუხის გებაში არიან მიცემული: ზოგი მთავრობას ხელთა ეავს და ზოგსაც დეგნის სამართლის დროს მათი მონაწილეობა გამოაშკარავდება და ეს, ჯერ ჯერობით, როგორც ხედავთ, სასურველი არ არის. თუ მაინცა და მაინც თვით პარტია სასამართლოს მოითხოვს, მე საწინააღმდეგო არაფერი მაქვს-რა იმ პირობით კი, რომ უველ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

უცხოეთის გამოჩენილი მოღვაწენი



ვილიამ გლადსტონი
(გარდაცვალებიდან ათის წლის გამო † 1898 7 მაისს)

ჰამას მივეგებოთ! ბაგროვის ნახატი.

და ფაქტებზე ვაგო პასუხი და არა მარტო ერთ ორმელ-სამე ფაქტზე, ხოლო თქვენს ამხანაგებს ამ „სამართლით“ თუ რაიმე შეემთხვევათ, პასუხის მგებლობა პროპორციულობაში მათ წინაშე თქვენ უნდა იკისროთ. ჩვენ ვიცით თქვენთან სამართალი რას ნიშნავს, ვიცით თქვენ, იეზუიტებივით, არავითარ საშვალებას არ მოერიდებით, ყოველგვარ ქამანდებს იხმართ წყლიდან მშრალად გამოხვიდეთ, მაგრამ ჩვენ ეს არ გვაშინებს და იმედი გვაქვს სიმართლე გაიმარჯვებს, რადგან ჩვენკენ ფაქტების ძალაა თქვენკენ კი ჩვეულებრივი ფახი-ფუხი და დემაგოგური შუბლგარეცხილობა...

მაშ ასე, ბატონებო, „სამართალი გქნათ სიმართლიანი“ და ვნახოთ ვინ დარჩება «ნიშადურით» კუდ ამომწვარი?

სოფლის მასწავლებელი.



ღმერთო, გვაშორე!

(გაპოეტებულ, გარედაქტორებულ და გაესდეკებულ ცოდოს).

—

„გაესდეკებულ“ ორფეხა ცოდოს
უვიცი, ბრიყვი, ცრუ და მეჭორე
შუბლგარეცხილსა, წამხდარ არსებას.
ღმერთო დაგვიხსენ, ღმერთო გვაშორე!

ვითომ „პოეტობს“ – ჩხირ-კედელაობს,
ლანძღვა-გინების წუმპეა სწორე,
მის ბოდვას, როშვას, უწმაწურობას...
ღმერთო დაგვიხსენ, ღმერთო გვაშორე!

ფლიდი, უვიცი, ორგულ-ორპირი,
გაწუწკებული, გრძნობითა მდორე
მხოლოდ ვერცხლს ეტრფის, ფული სწამს ღმერთად
მის შმორს, მის „დუხსა“ ღმერთო გვაშორე!

„სოციალისტობს“ და გმობს ნაციას,
არც პირველი სწამს, არცა მეორე...
დრომ უკუღმართმა „ლედახტურად“ ჰქმნა...
ამ გვარ ქუჩის ბიჭს, ღმერთო გვაშორე?

გერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვიქტორ ჰუგო
(გარდაცვალებიდან 23 წლ. ვამო † 1885 წ. 10 მაისს)



Victor Hugo

საქართველოს ავტონომიის მტერ-მაუვარენი.

თავისუფლად შერყეული ფიქრი

ცა გახსნილა, გაპობილა,
მოფენილა შუქი ხშირად,
კაცი ვინმე ევგენ დვალი
გარდმოსულა მგოსნად, მწირად.
საოცნებო, ნიჭიერი,
კალამს ხმარობს უცხოდ, გმირად;
ქვეყანასა მოჰვლენია
საკეთილოდ, არა ჭირად.
მის წინაშე ვინ რა არის?
მიაჩნია ყველა ჩირად,
მ.ს არავინ არად უღირს
კალმის ერთი მოსმის ქირად.
როცა მუზა დააჯდება
კალამს იქნევს რა ნაირად!..
კალამს ვერც კი მოუსწვრია
ისე მოსდის აზრი ხშირად...
ისეთს ლექსებს გამოაცხობს,
დაფასდების არ ადვილად!..
მაგრამ ლექსებს გარდა თურმე
კრივიც იცის ჩინებულად.
(ლედახტურაც რომ გახლავდათ,
ესეც მგონი იცით პირად)!..
ერთი სიტყვით,-ყველას მცოდნე,
ნაქებია ჩემგან მცირად.
ამისთანა დიდი ვინმე
თუ იქნება სადმე, ძვირად!
ჩვენ კი, დახე, ვერ ვაფასებთ,
მიგვაჩნია ჩოჩორ-ვირად!!.
ამისთანა ჭკვათ მყოფელი
უნდა შევინახოთ ფრთხილად,
თავზე წნელი მოუჭიროთ,
არ დაებნეს ჭკუა ტყვილად;
ისტორიაშიც აღვბეჭდოთ
ევგენ დვალი მელნით წითლად,
გადაეცეს შვილის შვილთა
საგანგებო ხურმა-ხილად!..

ი. მ—ლი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მატრაბაზის ათი მცნება

I

თუ ბედი გეწვია, მიეგებე, მოიგებ. თუ წავიდა არ გამოუდგე, წააგებ

II

ერიდე მადლსა. მადლი ბანკის ვალზე უარესია,—ოც და თვრამეტ წელწადშიაც ვერ გადაიხდი.

III

ნუ მისცემ რჩევას შენს მოყვარეს: თუ შენის რჩევით გაიმარჯვა, დაავალებ და მოიმდურებ. თუ ვერ გაიმარჯვა, თავის დამარცხებას შენ დაგაბრალებს.

IV

ბევრს რომ გამოეკიდო და ცოტა დაჰკარგო, ინანებ. ცოტას რომ გამოეკიდო და ბევრი დაჰკარგო. მაშინაც ხომ ინანებ?—მაშ ისევ ბევრს გამოეკიდე.

V

თუ მტრისა გემართოს, სანამ ძალა არ დაგატანოს, ვადას ნუ მისცემ, თორემ გაახარებ. თუ მოყვრისა გემართოს, ნურც მაშინ ეშურები ვალის გადახდას, რა იცი გულში რა აქვს?—იქნება უნდა გაჩუქოს.

VI

ას თუმნიანი მამული რომ ათას თუმნად იყიდო, წადი და კაი ლხინი გამართე, ვითომც ქალი უმზითვოდ გაგითხოვებია. ას თუმნიანი მამული რომ ათას თუმნათ გაყიდო, დაჯე და თავში ქვა იხალე, ვითომც ჭკვიანი ვაჟი მოგკვდომია.

VII

სახლიდან ისე ნუ გახვალ, რომ ჯიბეში ერთი აბაზი არ გედოს. ვინ იცის?—ერთ ც ვნახოთ აქლემს აბაზათ ჰყიდიან.

VIII

ფაიტონიდან რომ ჩამოდიოდე, უკან სახურავი გაუსინჯე, ხომ არა დაგვიწყებია რა. არაფერიც რომ არ ჩაგედოს, მაინც ჩაიხედე,—იქნება სხვას დავიწყებოდეს რამე.

IX

სანამ სუდში დავას დაიწყობდე, შვილი-შვილები გამოზარდე. თუ ბოლოს მართალი გამოხვიდე, შენ თუ ვერა, შენმა ნატამალმა მაინც გაიხაროს.

X

ცარიელი კუბო თუ ნახო, შიგ არ ჩაწვე, მაგით ვერას მოიგებ. ფიქრი ნუ გაქვს, როცა მოკვდები, კუბოს ფასს შენ როდი გამოგართმევენ.

რიშ ბაბა.

* * *

შურის ძიების ხმა საზარელი
ალარ მასვენებს ცხადათ, თუ ძილში:
ყურში ჩამძახის ხრინწიანის ხმით:
„აიღე სისხლი! აიღე სისხლი“!
ალარ მასვენებს ეს ხმა სასტიკი,
მდნარ ტყვიასავით მესხმება გულში
და უკანასკნელს ანდერძს ძმებისას,
როგორც საყვირით, ჩამყვირის ყურში.
ამ ხმა საზარსა სისხლიანები
დაამოწმობენ მათ აჩრდილები.
ოჰ რა ძნელია! ეჰ უღონობავ!
როს მომასვენებს მე ეს ხმა მწარე!!
როს ავასრულებ მე თქვენს ანდერძსა,
ვინ მეყოლება მწე და დამხმარე?!
ჰე აჩრდილებო, ჩემის ძმებისა,
როდის მოირჩენთ წყლულიან მკლავებს?
როდის შეგწყდებათ მკერდიდან სისხლი,
როდის გაახელთ დახუჭულ თვალებს?
ჰოი გმირებო! ბრძოლისა ველზედ
დარჩით? დაგტოვეთ, ვაი სირცხვილო!
თუ სიკვდილის ზარს გამოვექცეთ,
ნუ გაიკვირვებთ, მამულის შვილნო!
გვაპატიევით წმინდა აჩრდილნო,
თუ ჩავიდინეთ რამ სამარცხვინო!
არ გესმით ხვეწნა, არცა მუდარა?
დუმილი გფარავთ, ვით მთებსა ნისლი!
არ გვაპატიებთ, თუ არ ავიღეთ
დაფიცულებმა ჩვენ თქვენი სისხლი?!
წყლულებს გვაჩვენებთ, მით იშვერთ ხელებს?
მტრისა მახვილით გულს დამჩნეულებს?
შურს რომ არ ვძიობთ, მისთვის გვემდურით?
არ უბრუნდებით მიტომ საფლავებს?!
რამდენნი მოჰკვდით საღრჩობელაზედ,
ჩვენ კი საფლავიც ვერ გაგითხარეთ!
ვერ დაგიტირეთ ერთად შეყრილთა!
საფლავზე ცრემლი ვერ დაგაყარეთ!
ოჰ რა ძნელია! ვაჰ უღონობავ!
როს მომასვენებს მე ეს ხმა მწარე!
როს ავასრულებ თქვენს ნაანდერძევს,
ვინ მეყოლება მწე და დამხმარე!
და კვლავ აჩრდილნი, სისხლით მოსვრილნი,
არ ისვენებენ... დაძრწიან ველზე
და სიბრაზისგან სიტყვა გამშრალნი
მხოლოდ ხელებს-ღა იშვერენ ჩვენზე!

თ. რაზიკაშვილი.

ყურეული თქმულება
(თარგმანი)

—

ოდესღაც ქვეყანაზედ ცხოვრებდა მხატვარი კიმი. კიმი მშვენივრად ხატავდა: მაგალითად, მის მიერ დახატული ცხენი, თუ არ მიებათ, გარბოდა.

კიმმა განიზრახა ისეთი სურათი დაეხატა, რომელსაც ბედნიერება მიენიჭებია მთელი მისი ერისათვის. ამ ფიქრის დროს ძილში მას გამოეცხადა მოხუცი. სახე და თმა მოხუცს ვერცხლისავით თეთრი ქონდა.

— მე ვიცი შენი განზრახვა — უთხრა მოხუცმა კიმს. ასეთი სურათის დახატვა შეიძლება, მაგრამ იგი სიცოცხლეთ დაგიჯდება შენ,

— თანახმა ვარ — უპასუხა კიმმა.

— მაშ მე გასწავლი, როგორ მოიქცე — უთხრა მოხუცმა. ცის შუაში პატარა მდინარეა: მხოლოდ ღამ-ღამე გამოცდილს თვალს. შეუძლია დაინახოს იგი. ყოველთვის, როგორც კი დაღამდება, გამოდი მინდვრად, წამოწექი აი ასე მხარზე, აი ასე გადიზნიქე და უნძრევლათ უყურე ცას. ბევრი ღამე გაივლის, სანამ შეეჩვევოდე ცის მდინარის გარჩევას.

როგორც მოხუცმა ასწავლა, ისე მოიქცა მხატვარი. დაღამდებოდა თუ არა, კიმი მიდიოდა მინდორში, წვებოდა, როგორც უბრძანა მოხუცმა და შეყურებდა ცას. ტანი ებრუშებოდა უხერხულის წოლით, ეძინებოდა, თვალს ნისლი ეფარებოდ, მაგრამ კიმი უყურებდა და უყურებდა ცას. პირველად კიმი მხოლოდ იმას ამჩნევდა, რასაც ყველა ხედავს — ლურჯს ცას და ვარსკვლავებს; მერმე კი მეტი დაინახა: მუქი, თითქოს მუქ-წითელი სინათლე, სილურჯე კი ცისა უფრო და უფრო ილებოდა და მაშინ კიმმა გაარჩია ნაზათ მოელვარე მტრედის ფერი, თითქმის თეთრი, ცოტათი მოძრავი ზოლი — აი ეს იყო ცის მდინარე. ანკარა ცის იქით მან დაინახა ოკომანტეს *) ბაღი და სასახლე; დაინახა ცის მცხოვრებნი და ციური დღის სინათლე. ეს სინათლე იყო ცას რომ წითლათ გადაფენოდა. კიმი სულ უყურებდა და სხვადა სხვა საგნებს არჩევდა: დაინახა ცის მდინარეები თევზები და ერთხელ შეხედა გადასხნილ წიგნს ბედის — წერისას და ამოიკითხა, თუ რაში იყო ყურეის ბედნიერება. დილაზე, იმ ღამის შემდგომ, კიმი მკვდარი იპოვეს; ის მოკვდა სისუსტისა და დაქანცვისგან.

მიცვალებული იმავ მდგომარეობაში იყო, როგორც თეთრმა მოხუცმა უბრძანა.

*) „ოკაშენტე“ ყურეველთა ღმერთია.

ახლოს იდგა მისი ნახატი. ვერაფერს ვერ გაუგებდა კაცი იმ ნახატისას. სალებავი წამალი ისე ნაზი იყო რომ ერთი ხაზის მეტს ვერაფერს ვერ შენიშნავდა კაცი. იფიქრეს, ილაპარაკეს თუ რა ექნათ ნახატისათვის და მერმე ხელმწიფის ბრძანებით სალაროში შეინახეს.

ჩინელები ყურეილებზე უფრო ჭკუიანი გამოდგენ. ისენი მოვიდენ ყურეის ხელმწიფესთან და სთხოვეს კიმის ნახატი მოგვყიდეო.

ხელმწიფემ საბჭო შეკრიბა.

— ნახატი არაფერათ არ ღირს — უთხრეს მინისტრებმა ხელმწიფეს — ფული კი გვჭირს; ეხლა კიდევაც შემოგვაკლდა ამიტომაც გავყიდოთ ნახატიო. ნახატი მიყიდეს ჩინელებს 3000-ლიანათ (600 მან.); ქრთამათ კი ჩინელებმა 130000 ლიანი დახარჯეს.

როცა ჩინელებმა, როგორც იყო, მიიღეს ნახატი ყურეილებმა კითხეს მათ:

— რათ გინდათ ეს ნახატი, აქ ხომ მხოლოდ ერთი ხაზია გავლებული?

მაშინ ჩინელებმა მოითხოვეს ანკესი. როცა ჰია წამოცობილი ანკესი ნახატს დაუახლოვეს, ნახატიდან ამოხტა ცოცხალი კარჩხანა.

— ეხლა გესმისთ რა ნახატია ეს ნახატი? - ჰკითხეს ჩინელებმა. — ეს ცის მდინარეა და მასში ბედნიერებაა მისთვის, ვისაც იგი ეკუთვნის. ნახატი ბოჰდიხანს წაუღეს. ეხლაც იქაა ის ნახტი. მას მერმე ჩინელები ამაღლდენ, ყურეილები კი დაეცენ.

ნ. ლორთქიფანიძე.

ოთხი წლის სამსახური
(სოფლის ექიმის ცხოვრებიდან) *)

—

პირველად ვეწვიე ერთ პოლონელს, რომელიც ბარე ხუთი წელიწადი მსახურობდა გამომძიებლად ერთ მიყრუებულ თათრის სოფელში. იქნებოდა 37 წლის. მის მოღრუბლულ სახეს ეტყობოდა, რომ ბედს ემდუროდა. „გამარჯობა, დოქტორო, რამ ჩამოგაგდოთ აქ?“ იყო პირველი მისი კითხვა — ერთი ოთახი ექირა; ოთახის მოწყობილობას შეადგენდა მარტო ერთი სკამ-ლოგინი და ერთი შკაფი, არც ერთი საკითხავი წიგნი არსად ჩანდა. ხან-დახან გაზეთს თუ წაიკითხავდა. მერე როდი იყო უნიჭო კაცი. სტუდენტობის დროს თურმე ბევრი წაეკითხა, კარგ სტუდენტად ითვლებოდა. მიყრუებულმა სოფელმა ჩამოარჩინა წიგნის-კითხვას და თითქმის მთელ ქვეყნიერობასაც კი. „რისთვის უნდა ვიკითხოთ წიგნიო? ამბობდა: მე ხომ დიდი

*) იხ. „ნიშადური“ № 44.

ნიჭი არა მაქვს, რომ სამწერლო ასპარეზზე გამო-ვიდეო, არც მასწავლებლობამ მარგო ბედმა წი-ლად. ჩემი წიგნი კანონთა კრებულიაო“. და, მარ-თლაც, ზედ-მიწევნით იცოდა კანონები და საუკე-თესო გამომძიებლად ითვლებოდა.

წავედით ცხენებით სოფელში ოცდა-ათი ვერ-სის მანძილზე. წვიმიანი დღე იყო, დავსველდით, ტალახში ამოვისვარეთ, ღამე ბინძურ ქვეშსაგებში ვათიეთ, თათრული უგემური პური ვსჭამეთ. გავს-ჭერით მოკლული, შევადგინეთ პროტოკოლი, გა-მომძიებელმა გამოძიება მოახდინა და დავბრუნდით უკან. გამომძიებელს ისე მობეზრებოდა იმგვარი მგზავრობა, რომ სულ იძახდა: „ოჰ, ღმერთო, რო-დის გავთავისუფლდები ამ ძაღლურ-ცხოვრებისგან! დოქტორ, დოქტორ, რამ მოგიყვანათ აქ? მე რომ დოქტორი ვყოფილიყავ, შიმშილით მოვკვდებოდი და, რაც უნდა მცირე პრაქტიკა მქონოდა, ამ ჯო-ჯოხეთში არ გაღმოვარდებოდი! ოჰ, ღმერთო, ღმერთო .. მომბეზრდა ამგვარი ცხოვრება, მომძუ-ლდა თავი. ცოლ-შვილი რუსეთში მყავს, აქ ვერ მომიყვანია უბინობის გამო. მე აქ ვაგდივარ ძაღ-ლივით. სულ ჩემი ბავშვები მაგონდება, სევდამ დამ-ლია...“ მისმა ოხვრა-კვნესამ გული შემიწუხა, და-მასევდიანა. დავბრუნდით თუ არა შინ, დეპეშა მოუვიდა, შვილი მოგიკვდაო. კინაღამ გაგიჟდა ჯავრით. გათავდა კაცი. მის გულს ვეღარაფერი გაამთელებდა. შეეწირა მსხვერპლად სამსახურს. მა-გრამ ვისთვის იყო საჭირო ეს მსხვერპლი? რამდენ-სამე წელს უკან გავიგე, რომ ის ქალაქში გადაე-ყვანათ. უეჭველია ცოლ-შვილსაც მოიყვანდა, მჯავრს მცირეოდნად მაინც მოიქარვებდა, მაგრამ განა გამთელდება-ღა ერთხელვე გატეხილი გული? ან რა-ღა უნდა გაეკეთებია ქალაქში გამოფიტული გულისა და გონების პატრონს? დარწმუნებული ვარ, ერთხელვე პირქვე დაქანებული ბოლოს-და-ბოლოს მთლად ძირს დაეცემოდა და გარდიქმნებოდა ნამ-დვილ, ტიპიურ ბიუროკრატად.

იქვე მსახურობდა მეორე გამომძიებელი. რო-მელიც მოსამართლის თანამდებობას ასრულებდა. გარეგნობითაც და შინაგნობითაც იმას მეტი სიცო-ცხლის ნიშან-წყალი ეტყობოდა. ერთი შეხედვით მხიარული გეგონებოდა: ოხუნჯობდა, ხუმრობდა, საუბრობდა. გონებაც უჭრიდა, ცხოვრებაზე უფრო ფართო შეხედულობა ქონდა, ვიდრე მის ამხანაგს. მაგრამ იმასაც ყოველივე იმედი დაკარგული ჰქონ-და, თავი უბედურათ მიაჩნდა, ერთი სიტყვით, ნამ-დვილი პესსიმისტი იყო. „განა შეიძლება იყოს კაცი ბედნიერიო, ამბობდა: როგორ შეუძლია კაცს შეინახოს ადამიანური ღირსება და თავ-მოყვარეო-ბა დღევანდელ პირობებში? არავის არ-[illegible] კეთილშობილი გამბედაობა, თანამედროვე. განათ-ლებამ ძირიანად აღმოფხვრა ვაჟ-კაცობა, რომელიც იყო მხოლოდ ძველი დროის ნიშანიო. ყველანი ლაჩრები, გულ-დაჩაგრულები ვართო“. მეტადრე თავის ბედს ემდუროდა მწარედ. „ვისთვის არის საჭირო ჩემი სამსახურიო, ჰგოდებდა: „თათრებმა უბრალო იარაღად გამოიყენეს ერთმანეთს შორის შურის-საძიებლად ჩვენი სამართალი. ვასრულებ უგუ-ლოდ ჩემ თანამდებობას. ვკითხულობ წიგნებს, გა-ზეთებს, მაგრამ ვერაფერი ვერ მაკმაყოფილებს, რა-დგან არაფერი აზრი და მნიშვნელობა არა აქვს არც წიგნის კითხვას, არც სამსახურს ცხოვრებამ გამტყორცნა, როგორც უვარგისი, გამოუსადეგარი ბალახი ამოაგდოს თოხით მებაღემ. უსარგებლო ვარ. ერთად-ერთი ჩემი ნუგეში, რომელიც ართობს და ამშვიდებს ჩემ გულს და გონებას, კარტია. კარ-ტი, ეს არის ჩემი მაცოცხლებელი! რომ კარტს არ ვთამაშობდე, აქამდის, ვგონებ, გავგიჟდებოდი. როდესაც დღე საქმეს ვაწარმოებ ან ვკითხულობ, მაშინაც კი კარტი მაგონდება და ვფიქრობ, როდის იქნება დაღამდეს და კარტის თამაშს გული გადა-ვაყოლოთქო. თუ პარტნიორები მყავს, გათენებამ-დის ვთამაშობ. ამიტომ მიხარია ხოლმე დიდ ქა-ლაქში წასვლა“.

ასეთი იყო მეორე გამომძიებელი. კიდევ კარ-გი, რომ ცოლ-შვილი არა ჰყავდა, თვარა უბედუ-რება გაუათკეცდებოდა. მკითხველი დამეთანხმება, რომ ეს გამომძიებელი ერთობ რთული ხასიათის კაცი იყო, იმისი სულიერ თვისებათა გამოცნობა უფრო ძნელი იყო. შემიძლია ვთქვა მხოლოდ, რომ იგი თავს უბედურად თვლიდა და მართლაც —რომ უბედური იყო. იგი იყო მსხვერპლი, რომელიც შეეწირა ბიუროკრატიულ მომაკვდინებელ წეს-წყობილებას, ანუ, ჩვენებურად რომ იტყვიან, „სამსახურს“.

(გაგრძელება იქნება)

ექიმი.



შეკითხვა

(წერილი რედაქციისადმი).

1880 წლებში პეტერბურგში შევიძინე პატარა წიგნაკი: საქართველოს ისტორია, გამოცემული 1801 წელს, როცა იმ წლებში მისულან აქედან ჩვენი ელჩები, პავლე პირველთან, მას უბრძანებია ისინი წაეყვანათ ალექსანდრე-ნეველის აკადემიაში და შეედგინათ საქართველოს ისტორია და მიერთმიათ მისთვის, რომ გაეგო რა არის საქართველო. ჩვენი ელჩები წიგნაკში არა სჩანს ვინ იყვნენ და თვითონ წიგნაკი კი გვიჩვენებს, რომ ისინი ყოფილან დიდი მცოდნე გარეშე ქვეყნების ენებისა და ლიტერატურის. მოჰყავთ მოწმეთ რომაელთა მწერლები, (რომლების გვარები არ მახსოვს) თუ რას ამბობენ თავიანთ მოთხრობებში ივერიელებზედ ჯერეთ მკვიდრ საქართველოს საზღვრებს გვიჩვენებენ: მეშხეთს, არზერუმს, ტრაპიზუნდს და მოზდოკს შემდეგ აქებენ ივერიელებს, როგორც გმირებს ბრძოლის ველზედ: „Посмотрите на полѣ битвы на Иверіицевъ, въ своихъ красныхъ кафтанахъ (ეს ჩვენი ქართული ქულაჯებია) какой страхъ они производятъ на непрятелей“. ეს რომაელები მწერლები ამბობენ: ჯერეთ ვერავინ შეუვიდათ ქართლში ივერიელებსო. მარტო პომპეიმ გაიარა და ისეც დიდხანს ვერ გაჩერდა შიგ ქართლშიო.

დიდის ქებით მოიხსენებენ ქართულ ლიტერატურას, როგორც ძველ კლასიკურ თხზულებას რუსთაველის თხზულების ქებას სამზღვარი არ აქვს. მაშინდელი მეცნიერები რუსეთში ამბობენ „Можетъ быть когда нибудь доступно будетъ видѣть въ переводѣ на русскомъ языкѣ это великое произведеніе, но есть у грузинъ другое величаишее произведеніе Чахрухадзе, восхваленіе Царицы Тамары изъ однѣхъ прилагательныхъ 16 строкъ Этого-то произведенія никогда намъ не видать на русскомъ языкѣ“.

ეს წიგნი უძღვენი მაშინვე წერა-კითხვის საზ. და მან (წერა-კითხ. საზ.) კი დაჰკარგა ასე მოგახსენებს ბ-ნი ესაძე და სხვები, ვისაც ეინტერესება ამ წიგნის წაკითხვა.

მაშინ ზემოხსენებული წიგნი უძღვენი წ. კ. საზ. და ეხლა მაპატიონ, ვუძღვნი კიდევ ორ ხალხურ თქმულებას:

1) სომეხმა სთქვა: „ფულს ქართველიც კი იშოვნის, მაგრამ ვერ შეინახავსო“.

2) სომხებს შეჰკითხეს: „დიდი ფული გირჩევნია, თუ დიდი ჭკუაო“. სომეხმა უპასუხა: უსათუოდ დიდი ფული, მაგრამ ჭკუას მთლად ნუ კი ბა-მართმევთ, იმდენი დამიტოვეთ, რომ ფული ვიპოვნ დამებნასო“.

ბებურ ბებურიშვილი.

კრიტიკა და ბიბლიოგრაფია.

—

ქართული სამკურნალო ფურცელი რედ. ვ. ღამბაშიძე.

კვირას პირველად გამოვიდა ახალი პოპულიარულ-მეცნიერული ჟურნალი „ქართული სამკურნალო ფურცელი“ ექიმ ვახტანგ ღამბაშიძის რედაქტორობით. არ შეგვიძლია უყურადღებოდ დავტოვოთ პირველი ცდა ქართულ ენაზე მეცნიერულ ჟურნალის დაარსებისა, მით უფრო რომ იგი მეტად საინტერესოდ და შინაარსიანად არის შედგენილი.

ბ-ნი ვ. ღამბაშიძე არ უშინდება არაფერს: არც ენის სიძნელეს, არც ნივთიერ დაბრკოლებას და არც „პარტიობას“...

რაც შეეხება ენის სიბნელეს ამ მხრივ პატივცემული ექიმი, ჩვენის აზრით, უზრუნველყოფილია. ამას საესებით გვიმტკიცებს „ქართული სამკურნალო ფურცელის“ პირველი ნომერი. ბ-ნმა ღამბაშიძემ ნათლად დაგვიმტკიცა, რომ ქართულადაც მშვენივრად შეიძლება სამეცნიერო შინაარსის მასალის გადმოცემა, არა ჩიქორთულად არამედ ნამდვილ მარტივის ქართულის ენით.

ვ. ღამბაშიძეს მიზნად დაუსახავს მიგვითითოს იმ ავადმყოფობაზე, რომელნიც უფრო ხშირად ემტერებიან ადამიანის აგებულობას და არღვევენ ამ აგებულობის ჰარმონიას, და თანაც ცდილობს გაგვაცნოს ამ ავადმყოფობის მიზეზები და მათთან ბრძოლის გზა.

მთელი ნომერი შედგენილია თვითონ რედაქტორისაგან რაიც, რა თქმა უნდა, მეტად ძნელია. ნუ თუ ჩვენი ქართველი ექიმები ხელს არ შეუწყობენ თავგამოდებულ ამხანაგს და არ დაეხმარებიან ამ ძნელსა და სასარგებლო საქმეში!

კ. ა.

პ რ ო ვ ი ნ ც ი ა

—:—

სოხუმი. აქაური რამე-რუმე.

—„ჭეშმარიტ patriotъ-ების ზრუნვამ“ იქამდისინ მიახწია, რომ ზოგნი გააქრეს, ზოგსაც მოთმინების ძაფი გაუწყდა... და ხრიკსა—შაირებს ძალა-უნებურათ, ნელ-ნელა გაურბიან და შორდებიან...

— სამწუხარო ხმა გავრცელდა: ქალაქის თავი ნიკ. თავდგირიძე თავს ანებებს თავის თანამდებობასო. ნიკ. თავდგირიძეს, დიდი შრომა (თუმცა ბრმა პოლიტიკოსები, წინააღმდეგსა უკიჟინებენ...) და უნარი მიუძღვის ჩვენის განაწამი მხრისა და კერძოთ სოხუმის წინაშე, რომელსაც „ირგვლივ მტრები უვლიან"...

— წელს „ჭეშმარიტების" ლიდერმა ტომარამ, საზოგადოებრივ სამსახურს «დემონსტრიტიულათ" დაანება თავი.

ჯერ ისევ წინანდელ პოლიტიკოსთა წევრების „მონელება" ვერ მოგვისწვრია, უკვე ახალი მოგვევლინა: სოხუმს, რამხარედანაც გინდათ, იქიდან ბედი «ულიმის»!... „დაგვადნო" და „დაგვანელა" .ჟურნ. პობერეჟ." წერილებმა. ნეტა კორესპონდენტი თავის დონ-ჟუანობას აღწერდეს ისა სჯობია, ვიდრე აქაურობის არა მკითხე .კრიტიკოსობას'' ეწეოდეს!...

— 26 აპრილს, ,,ილიას საღამომ'' ჩინებულათ ჩაიარა. არ დარჩენილა არც ერთი, რომ იმ საღამოზე დასწრება თავის ვალად არ ეკისროს. ვუსურვებთ, ქველ-მოქმედ პირებს, რომ ამისთანა სიმპატიურ აზრით საღამოების გამართვაში არ მოსწყინდნენ და უფრო ხშირ-ხშირათ დაგვანახვონ თავის შრომის ნაყოფი.

— 27 აპრილს, იოსელიანის სათეატრო შენობაში, ადგილობრივ ბერძნულ დრამატიულ ხელოვნების მოყვარეთა მიერ, გაიმართა ბერძნულ ენაზე წარმოდგენა. წარმოდგენილ იქმნა: ნაციონალური 4 მოქმ. ტრაგედია «ესმე», და ,,თავს მოვიკლავ'', კომ. ერთ მოქმ. და ხორო ,,ბანდიტებისა'' (ყაჩაღებისა). შემოსავალი დანიშნულ იყო, აქაურ ბერძნების სასწავლებლის თანხის გასაძლიერებლად.

პიესებში, ყველა მონაწილეთ თავიანთ როლების შესრულებაში ეტყობოდათ მომზადება, შნო და უნარი, რაიც საზოგადოებამ მხურვალე ტაშის კვრით დააჯილდოვა.

— პირველ მაისობამ ,,უინციდენტოთ'' ჩაიარა. არა ,,ლეგალურათ ' ბევრნი უქმობდნენ. ადმინისტრაცია ყოველივე მოულოდნელ და მოსალოდნელ შემთხვევისთვის მომზადებული იყო.

— სოხუმის თითქმის ყველა სასწავლებლებში (აქაური. ქალთა გიმნაზია, რეალური სასწავლებელი, სამოქალაქო სკოლა, მთიულთა სკოლა, მოსამზადებელი სასწსვ., საეკლესიო სამრ. სასწავლ., ბერძნების სასწავლებელი—ქალ-ვაჟთა და სომხების სასწვ.—ქალ-ვაჟთა) შეწყდა სწავლა და დაიწყო ეგზამენები. ბევრნიც უკვე დაითხოვეს შინ საზ ფხულოთ.

4 მაისს, ადგილობრივ საქველ-მოქმედო საზოგადოების სასარგებლოთ გაიმართა, ზღვის ნაპირად ბულვარში, ,,გაზაფხულის სეირნობა''. გამგეთა მოლოდინი სასურველად გამართლდა.

— 5 მაისს, ქალაქის საბჭოს მორიგი სხდომაზე, სხვათა შორის, დაადგინეს: თაგვიშაქარის (,,შიაკი'') გაყიდვის ნება მიეცეს მარტო აქაურ სამეურნეო საზოგადოებას და დანარჩენს [illegible] გამოეცხადოს.

— 7 მაისს, საღამოს ცხრა საათზე, შიგ ქალაქში, სასიკვდილოთ დაიჭრა, ,,ლაფერმას'' მსახური, ადამ ადამიდი ა. რამოდენიმე საათის შემდეგ გარდაიცვალა: მომაკვდავმა განაცხადა, რომ მისი მკვლელი, მათივე ფაბრიკის მსახური ტოპჩიანიაო. მე-რე დილას, ორივე ძმანი ტოპჩიანები საპყრობილეში ჩასვეს როგორ გავიგეთ, უფროს მსახურს მიუღია უსახელო წერილი ,,თხოვნით'': უდანაშაულო კაცები გაათავისუფლეო.

— ამავე დღეს, საღამოს, დაიჭირეს რვა კაცი: მოვაჭრენი ნოქრები და ფოსტის მსახური, რომლებიცა ამხანაკთანა სტუმრათ იყვნენ. ცოტას დააკლდა—დიასახლისიც თან გაიყოლეს... რამოდენიმე უკვე გაანთავისუფლეს

— რამოდენიმე დღის წინეთ, საღამოს საათის ცხრაზე, უცნობმა, რევოლვერით მძიმედ დასჭრა, ვაჭარი ალე;სი სიჭინავა. ამბობენ გადარჩენა საეჭვო არისო, სიჭინავა ორასი ათასი მანეთის მამულის პატრონია. თავის ქონება უკვე გაუნაწილებიაო: ნახევარი ქონების, უანდერძებია, თავის ორ ქალიშვილებისათვის, ნახევარიც, თავის ძმის შვილებისათვის, ორი ათასი მანეთი, აქაურ ღარიბ მოსწავლეებისათვის, სამი ათასი მანეთი, საქველ-მოქმედო საზოგადოების ღარიბთათვის და ორმოც და ათი მანეთი მიეცეს მის ცოლს... ცოლთან რამოდენიმე წელიწადია უკმაყოფილოთა არის. ა ს. განაცხადა, ჩემი მკვლელი არის, ჩემივე ნაცოლარის უკანონო ქმრის ძმაო, რომელიცა დაკავებულია. ცოლიც სოხუმში ცხოვრობს. საქმე სასამართლოში გადაცემულია.

— 10 მაისს, ცნობილ, ნესტორ ესებუას. გამგებლობით, პირველი ,დებიუტი'' გაიმართა მოჭიდავეთა: კულა ხირიმიანცი, იგივე გლდანელი და თედო ლილოელისა, ჯიბგირი და რევიშვილისა და, ქარდავა და ალი მამედ-ოღლისა. ამათ ამხანაკობაშია, ცნობილი კ. მაისურაძეც. რა თქმა უნდა მაყურებელნი მიაწყდა და მოჭიდავენი ფულებში კოჭაობენ...

— კვირას, 11 მაისს, ქალაქის მოედანზე, შეუძლებელ მოსწავლეთა დამხმარებელ საზოგადოების სასარგებლოთ გაიმართა, ხუთიოდე წლის ,,სიჩუმის'' შემდეგ, ლოლი. მოედანის ერთ ნაპირად გაშენებულ იქმნა: ფას დადებითი საჯდომი ადგილები, ხუთას კაცის დასატევი, ოთხი კიოსკები. მათ შორის, დამსწრეთა, განსაკუთრებულ ყურადღებასა იპყრობდა, აფხაზური კიოსკი—სასტუმრო, რომელსაც, გარედან, რუსულ ასოებით წარწერილი იყო: ,,ბზიალა შვააბეიტ'' (,,კარგათ მენახეთ''). ,,სტუმრებს'', მასპინძლობასა უწევდნენ, აფხ. კისკში, ორი თავადის ასულნი და ქ-ნ ლ., ნაციონალურ ტანთსაცმელში ჩაცმულნი გაკეთებულ იყო ,,ტრიბუნა'', ლოლთა გამგებელ კომისიისათვის, ბლომად იყო საჩუქრებიც. ჯილდო ერ-

გოთ: პირველი საათბეი მ. რშანიას ცხენს, მეორე გლეხისა და მესამე ალექსი ანჩაბაძესი. მეორე წყებაში პირვ. საჩუქარი ერგო თათარყან ანჩაბაძეს, მეორე ალექსი ანჩაბაძეს და მესამე მიხა ემუხვარს.

სეირნობაზე ბედნიერ ,,ვარ სკოლავზე“ დაბადებულთა სიამოვნობას საზღვარი არა ჰქონდა და ,,უბრალო“ მომაკვდავთ-კი, ზეზე დგომით, მუხლები ეკვეცებოდათ... დოლზე დასასწრებლათ, ოლქის ყველა მხარედან და მახლობელ ქალაქებიდან ჩამოვიდა ხალხი. მხოლოდ დოლის გამმართველ საზოგადოებას, მოლოდინი არ გაუმართლდა. ხარჯი ,,საგრძნობელი“ მოუვიდათ და შემოსავალი არა სასურველი.

— 11 მაისს საღამოს, ესებუას საჭიდაო შენობაში, წეს-რიგის ,,მეთვალყურემ“, თავადი ი-პას ფეხი წაკრა და უდიერათ მიაძახა, რიგზე დაჯექიო. უეცრათ სილამ იჭექა მეთვალყურეს სახეზე. შეურაცხყოფილმა რევოლვერის დახმარება მოინდომა, მაგრამ თვალის დახამხამების უმალ, თავადის ხანჯალმა უარესი ტკაცუნი მოადინა სიპრტყით მოპირდაპირეს ყბაზე და კიდეც გაშხლართა მიწაზე. აირია ,,მონასტერი“... არავინ დაშავებულა. ოქმი შეადგინეს, მაგრამ იმედია ,,ნიჩავო“-თ გათავდება..

— ახლად ,,გამოჩეკილი“ რაზმი, გაცხელებულ ,,მუშაობაშია“. ძალიან ,,ფიცხობენ“... ღამ-ღამობით, ქალაქის სხვა და სხვა მხარეში, ,,ბერდანების“ განუწყვეტელი ტკაცა-ტკუცია. საქმე რაშია, ,,საიდუმლოთ“ რჩება. ვისგანაც საჭირო იყო, შეძენილია და რაზმელებს დაურიგდათ ,,ბერდანები“ და ტყვია-წამალი სამასი მანეთისა.

— ოლქის სხვა და სხვა მხარეში, ათას გვარ ბოროტ მოქმედთა ალაგმვა არ იქმნა და არ იქნა. ეს ვაჟბატონები, ,,ურევიზიოთ“ არავისა სტოვებენ.

— 11 მაისს, გუმისტის ნაწილში, რამოდენიმე კაცი სოფლის გზაზე ჩასაფრებულან და დოლზე მიმავლებს დაუწყეს ძარცვა. ,,ურჩი“ აფხაზი მოუკლავთ. მეგრელი დაუჭრიათ. ეს რო სოფლელებმა გაიგეს, განურჩევლად სქესისა და წლოვანებისა, დაედევნენ დაუპატიჟებელ ,,რაინდებს“. იმ დღესვე ოლქის უფროსმა საჭირო განკარგულებაც მოახდინა. შედეგი: სამი კაცი დაატუსაღეს. ერთი გაქცეული ტუსაღი აღმოჩენილა. ვინც აქტიური მონაწილეობასა ღებულობდა ამათი დაჭერაში, ჯილდოთ მიეცემათ ხუთ-ხუთი თუმანი ფულად და მენდლებზე წარადგენენ.

შავი-შვილი.

—

ს. მარტყოფი, საშინელი სენი. დიდად პატივცემულო ,,ნიშადურო“, ვიცით შენი კეთილი გულის ამბავი, რომ ყველგან და ყოველთვის გებრალება საწყალი ქართველი გლეხ კაცობა და ეხლა ამ ჩვენ კუთხეულ სოფელ მარტყოფშიაც მრავალი კაცი განიცდის შიმშილობას, რის მეოხებით აქ ძრიელ გახშირდა ტვინით ავადმყოფობა ამ ბოლოს დროს ტვინით ავათმყოფების. ნიშნები აგეთია: სიცხე ეძლევათ, გონება ერყევათ და ბოლოს ცოფდებიან. ეხლა ამ ხანაში გვყავს ერთი ძლიერი ავათმყოფი ,,მიხო—სოფლელი“, რომელმაც ამ მოკლე ხანებში 27 აპრილში [illegible] ხუთმეტი კაცამდე, ჩვენ, როგორათაც სოფლის უსწავლელი ხალხს, ძრიელ გვეშინია ამ სენისა და ვაკითხინეთ სოფლის მკითხავებს და მოგვასწავლათ თქვენთანა საშველებლად. ეხლა უმორჩილესად გთხოვთ გვიშველოთ რამე და ცოფის წამალი გამოგვიგზავნო, თორემ, თქვენი მტერია, თუ ეს სენი ჩვენში გავრცელდა სწორედ დავიღუპებით. მასთანვე, ჩვენი მიხო—სოფლელს ავათმყოფს თავის ქალა ძრიელ სტკივა და გთხოვთ რამდენიმე მისხალი ნიშადური გამოგვიგზავნოთ, რომ დრო და დრო თავის ტკივილის დროს ვასუნებინოთ.

ა. ი.

—

ხონი, ჩვენი აგ-კარგი. ამას წინედ აქაურ სცენის მოყვარეთა მიერ ნ. გვარაძეს დახმარებითი წარმოდგენილი იყო ,,ბატონი და ყმა“ და ყოდევილი ,,არივ-დარია“. პიესები კოხტად ჩაატარეს. სასურველია რომ ქართული წარმოდგენები ხშირად იდგმებოდეს და რაც შეიძლება დაკლებულ ფასებში, რათა მუშა ხალხს ეადვილებოდეს დასწრება.

ხონი დღითი დღე დაწინაურების გზას ადგია. ეხლა ხან ჩვენმა ინტელიგენციამ განიზრახა სახალხო უნივერსიტეტის დაარსება. მაგისათვის კრებაც იყო მოწვეული, რომელმაც ერთხმივ განაცხადა სურვილი უნივერსიტეტის მოწყობისა; შეიმუშავეს წესები და ღენერალ გუბერნატორს მიართვეს თხოვნა ნების დასართველად.

რა თქმა უნდა, სახალხო უნივერსიტეტის ზედგავლენა ხონელებზე დიდი იქნება და მრავალ მხრივ ნაყოფიერი.

გან-მან.

—

ლანჩხუთი, ჰარტიულა ბეგარა. რამდენიც უნდა გამოაშკარავოთ ჩვენებური ს.-დ. ხრიკები და ოინები, და რამდენიც უნდა უმტკიცოთ მათ, რომ ისინი ხალხისთვის კი არა უფრო თავის კუჭისთვის იბრძვიან, რამდენიც უნდა აჩვენოთ მათ, რომ ისინი უფრო დახელოვნებულნი არიან ლანძღვა გინებაში და ცილისწამებაში, ვიდრე საბუთიან და დალაგებულ მსჯელობაში, რამდენიც უნდა არწმუნეთ, რომ ჩვენ მკითხველებს გვაინტერესებს იდეური კამათი და არა ცილისწამება, რომ ჩვენ გვწადიან მათი პროგრამმის და ტაკტიკის აწონ-დაწონვა და კრიტიკის ქარ-ცეცხლში გატარება, ისინი მაინც სულ თავისას გაიძახიან; რაცა ვართ ჩვენ ვართ, სხვა ყველანი არარანი არიანო. საბრალონი! ნეტავ როდის გაახელენ თვალებს, ნეტავ როდის დაინახავენ, რომ დღითი-დღე მათ აკლდებათ შეგნებული მუშები და რაზმი? ნუ თუ არ გრძნობენ, რომ ფეხქვეშ ნიადაგი ეცლებათ! მაგრამ რა ენაღვლებათ? ამდენხანს ხომ ატყუეს და ატყავეს ხალხი? ამდენ ხანს ხომ არ დაკლებიათ აბაზები? დაბეგრული შეუგნებელი მასსა კიდევ აქა-იქ ემორჩილება მათ,

ეროვნული ბიბლიოთეკა



მაგრამ ეს გიპნოზიც მალე გაივლის და მაშინ ნეტა რას იტყვიან?..

ამას წინედ ლანჩხუთში ს. დ. მიერ გამოგზავნილი კაცი მივიდა სოც. ფედ. პარტიის წევრთან ე. გ—შვილთან და უთხრა: მე გამომგზავნა ს. დ. და შენ უნდა გადაიხადო ორგანიზაციის სასარგებლოდ „წრის ფულიო“. ე—მ უპასუხა: მე ს. დ. არა ვარ და არც შემიძლიან მათ სასარგებლოდ საწევრო ფული გადავიხადოვ. აი სადამდის მიდის ს. დ. აღვირახსნილობა! შეუგნებელ ხალხთან კი არა, თვით სხვა პარტიის წევრებთანაც კი მიდიან და საწევრო გადასახადს სთხოვენ .. უეჭველია მალე ესფერების ოოგანიზაციასაც კი შეაწერენ გადასახადს თავიანთ კასის სასარგებლოთ. განა იმ ვაჟბატონებმა არ იცოდნენ, რომ ე. გ—ლი ს. დ. არ იყო? ჰაი, ჰაი, რომ იცოდნენ, მაგრამ რის ს.-დ. თუ „ეშმაკურათ“ არ მოიქცნენ! .

ე. დ—ლი.

გუბი. *განვითარებული შექცევა.*

დიდება ჩვენ სოფელ გუბს, კარტის მოთამაშე ჯგუფს
სოციალ-დემოკრატიც კარტის თამაშითა სდუღს!
ესტატე და ანდრია, ნეტა რამ გადარია...
აპოლონი სტუდენტიც მათი მეგობარია.
სამიკიტნო დუქნები არის მათი კლუბები
,,ნიშადურო'', აუწყე-ყველას გუბის ამბები?

ერიკ.

თეატრის კასასთან

—

მეგრელი ქუთაისში ჩამოვიდა და ქართული წარმოდგენის ნახვა მოინდომა.

მიადგა კასას...

„თვალის წყალ დასალევათ“, ქართული დასის მსახიობი, „კასირშასთან“ ტრიალებს...

— ბილეთი პატენი?..

— გახლავთ! რა ფასისა გნებავთ?

მსახიობი თავს იჩენს „ენების“ ცოდნაში ..

— „მუჭორე სქანი საქმე, მარგალო“?

— „მუ მიჭირს პატენი!“—ბიუგო მეგრელმა...

— მუნიც გჭირს და შენი წახდენაც... სად გეიგო ამ სულ წაწყმედილმა ჩემი სენი. .—წაილულლულა მსახიობმა და სიწითლის მაგიერ სიყვითლე გადაეკრა სახეზე.

— მასე გეკადრება... რას იპარსავდი ულვაშებს!—ანუგეშებს კასირშა..

— ???

ბიჭი-ბიჭი.

რედაქტორ-გამომც. ვალერიან გუნია.

მსწრაფლ-მბეჭდავი სტამბა „ძმობისა“ მოსკოვის ქუჩა № 5.